

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N24

ქ.თბილისი

11 აპრილი, 2023 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ასვლეცაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჭაძე	საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე	ოთარ გრიგოლია
მამუკა გუგუშაშვილი	ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე	კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ზაზა თავაძე
ანა კაკაბაძე	მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ნინო კვიციანიშვილი
სალომე კობალაძე	ცოტნე კობერიძე
ზვიად კუპრავა	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი	ნათია მოდეზაძე
ირაკლი ნადირაძე	შალვა ოგბაიძე
გიორგი ონიანი	გურამ ოქროპირიძე
ლევან ყორჯოლიანი	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე	ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი	ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	სოფიო ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირვაძე;

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსი გიორგი მარგებაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

თინათინ ნიბლოშვილმა ისაუბრა გენდერულ პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ გუნდის დამსახურებაა ის, რომ დღეს საქართველოში ამ თემებზე ვსაუბრობთ და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია საზოგადოებისთვის აღარ არის უხილავი. სწორი გენდერული პოლიტიკის გატარება ჩვენს ქვეყანაში თითოეული ჩვენგანისთვის და ჩვენი ევროპული მომავლისთვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია. ჩვენ, ყველა, ვინც პირდაპირ ვმონაწილეობთ ამ პროცესებში, ვინც იაზრებს ან უნდა იაზრებდეს მის მნიშვნელობას, ვალდებული ვართ, მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ ეს თემები არ გახდეს ვინმეს პოლიტიკური კამპანიის ნაწილი და ამ ყველაფერმა არ დააზიანოს ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს სახელმწიფო ამ მიმართულებით, არ გავაჩინოთ უნდობლობა მოქმედი კანონმდებლობის მიმართ, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ და თითოეული ჩვენგანის მიმართ. განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ გუნდი ამაყობს იმ ნაბიჯებით, რომლებიც გადადგა ქალების გაძლიერებისთვის და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „შეგახსენებთ კვოტირების კანონს, საკანონმდებლო ცვლილებებს სექსუალური შევიწროვების შესახებ, გენდერული თანასწორობის ახალ კონცეფციას, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციას, ყველა მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმირებას და გენდერულად სწორად დაბალანსებულ ბიუჯეტს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებას. შეგახსენებთ, მსხვერპლი ქალებისათვის სავალდებულო სტატუსის გარეშე სახელმწიფოს სერვისებისა და დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას და სხვა მრავალს. თუმცა, მანამ, სანამ თქვენ ამ ყველაფერს უწოდებთ მხოლოდ ფურცელზე დაწერილს, სანამ ჩემთან და სხვა თქვენს კოლეგებთან ვიდეომიმართვებით ურთიერთობთ და ბრიფინგებზე გამოანათებთ, ამასაც გახსენებთ, რომ 2023 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში, ქალთა დახმარების ცხელ ხაზზე - 116006-ზე შესულია 1169 ზარი, ბავშვთა დახმარების ცხელ ხაზზე შესულია 1066 ზარი და სამი თვის განმავლობაში დახმარება გაეწია 880-ზე მეტ ადამიანს“. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ არავის აქვს უფლება, ჩვენს მოქალაქეებს რაღაც დოზით გაუჩინოს უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, განსაკუთრებით საკრებულოს წევრებს და კიდევ ერთხელ მიმართა კოლეგებს: „ყველამ ერთად ან ცალ-ცალკე არ დავაზიანოთ მათი ინტერესები“.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ ყველა საკანონმდებლო ინიციატივას სჭირდება აღსრულება და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, რომელი პროპაგანდისტული ტელევიზიის ხელმძღვანელს შეეხება აღნიშნული და პარლამენტარები წინასწარ, მანამ, სანამ საგამოძიებო უწყებები დაასკვნიან რა მოხდა რეალურად, არ უნდა უცხადებდნენ მხარდაჭერას. გიორგი ონიანმა ისაუბრა მის ინიციატივაზე, რომელიც ეხება უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი მეზრძოლების სახელობის სკვერის მოწყობას და მემორიალის გაკეთებას თბილისში და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას დღემდე არ უმსჯელია აღნიშნულზე. მისი თქმით, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეები უკრაინაში იბრძვიან ჩვენი ქვეყნის მთავარი მტრის წინააღმდეგ, რომლის დასუსტება ჩვენი ძირითადი პრიორიტეტია, რადგან „ძლიერი პუტინის რუსეთი“ პირდაპირი საფრთხეა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის და როდესაც ეს ადამიანები საქმით აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ საქართველოს თავიდან ააცილონ ომი და კონფლიქტი, ჩვენ არ უნდა გვიჭირდეს ამ ადამიანების შესაბამისი დაფასება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესები არის მესამე ხარისხოვანი და აღნიშნული სჭირდება როგორც ჩვენ ქვეყანას, ასევე, ამ ადამიანების ოჯახებს, რათა იამაყონ, რომ მათი ოჯახის წევრი იყო გმირი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს მოქალაქეების, ადამიანების, რომლებიც შეეწირნენ რუსეთთან ბრძოლას უკრაინის ტერიტორიაზე, სკვერი უნდა არსებობდეს, გთხოვთ, ჩამოყალიბდეთ სამუშაო

შეხვედრაზე, რომ საკრებულოს შემდეგ სხდომამდე მოხდეს ამ ინიციატივის შესწორება და შეთანხმება, რათა მომდევნო სხდომაზე, ყველამ ერთად შევძლოთ ამ ადამიანებისთვის გარანტირებულად იმის თქმა, რომ სკვერიც და მემორიალიც აშენდება და იმ პროექტის წარდგენა, თუ როგორი იქნება აღნიშნული.“

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ უკრაინის საელჩომ საკრებულოში წარადგინა ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა ქართველი და უკრაინელი გმირების მემორიალის გახსნას. მისი თქმით, საკრებულოს წევრები ეთანხმებიან და იზიარებენ იმას, რომ არის საერთო ბრძოლა და იქ დაღუპული ადამიანები იმსახურებენ, როგორც პატივისცემას, ასევე, იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებზეც არის საუბარი, რადგან ეს გმირული ბრძოლა აუცილებლად უნდა დაფასდეს. მისი თქმით, გაუგებარია, რატომ ჰგონიათ ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებს ვინმეზე ნაკლებად აწუხებთ რაღაც საკითხები. სამწუხაროდ, ისინი ცდილობენ საკითხის პოლიტიზირებას, საუბარი არ ყოფილა მხოლოდ ქართველ მებრძოლებზე და ოპოზიციონერმა კოლეგებმა მედია შეიყვანეს შეცდომაში, როდესაც განაცხადეს, რომ მოთხოვნა იყო ქართველი გმირების მემორიალის გახსნაზე. აქედან გამომდინარე, ოთარ გრიგოლიამ მოუწოდა კოლეგებს: „პატრიოტიზმში შეჯიბრს და საკუთარი თავის აქტუალიზებას შევეშვათ და პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს და იმ პროცესს, რომელიც უნდა წარიმართოს. არავინ არის ამის წინააღმდეგი, პირიქით, ჩვენ ამას მხარს ვუჭერთ. უბრალოდ, ამ ყველაფერს აქვს თავისი ფორმა, ამ ყველაფერს აქვს თავისი წესი და ამ წესის შესაბამისად უნდა ხდებოდეს ყველაფრის გაკეთება“. მისი თქმით, უმრავლესობა თვლის, რომ ეს პროცესი უნდა წარიმართოს უკრაინის ელჩთან ერთად და იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინის მხარე აპირებს ახალი ელჩის დანიშვნას, უფრო სწორი და ლოგიკური იქნება, პროცესი წარიმართოს ერთობლივად, რაც შეეფერება ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს. გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის გამოსვლას, ისაუბრა კოლეგიალობაზე და მიმართა ოპოზიციის წევრებს: „მეგობრებო, ჩვენ დღეს არ დავბადებულვართ და დღეს არ დაწყებულა ჩვენი ისტორია და თუ თქვენ გსურთ, რომ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში სწორად წარიმართოს დისკუსია და იყოს ჯანმრთელი პროცესი, ამისთვის არსებობს პირადი ურთიერთობები, ეს არის ინსტიტუცია, სადაც თუ რამე ტიპის განსხვავებები არსებობს და რაღაც გადაუწყვეტიელი საკითხია, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გასაჯაროება. თუ პროცესი არ დაგიწყიათ, ურთიერთობა არ დაწყებულა, კომუნიკაციაში არ შესულხართ, პირდაპირ ტელეფონიდან მიმართვა არასწორია“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა ქალებისთვის, როგორც ინსტიტუციურად, ასევე, აღსრულების დონეზე და ამ მიმართულებით არსებულ პროგრესს ძალიან კარგად ხედავს საქართველოს მოსახლეობა.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის განცხადებას და აღნიშნა, რომ არათუ საელჩოს მხრიდან შემოსული თხოვნა, არამედ ოპოზიციური ფრთიდანაც საკითხი დაყენებულია სხვადასხვა ინტერპრეტაციით. კერძოდ, გიორგი ონიანმა წარმოადგინა წინადადება, სადაც ითხოვს ქართველი მებრძოლების სახელობის სკვერის მოწყობას მათი სახელების უკვდავსაყოფად. ხოლო უკრაინის საელჩოს მხრიდან წარმოდგენილი წინადადება იყო, რომ სკვერი ყოფილიყო ქართველ და უკრაინელ მებრძოლთა სახელობის. ამასთანავე, საელჩოს მხრიდან შერჩეული ადგილი იყო საკმაოდ არასწორი, რაზეც მათ მიეცათ ზეპირი განმარტება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი მხრიდან გაკეთებული იყო რამდენიმე არასწორი განცხადება. მისი თქმით, მმართველ გუნდს აქვს გარკვეული ვერსიები და იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინის მხარის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად 2-3 თვეში მოხდებოდა ახალი ელჩის დანიშვნა, ლოგიკურად ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნას ახალ დანიშნულ ელჩთან ერთად, რაც ოპოზიციის წარმომადგენლებმაც იციან და არ გაუპროტესტებიათ. თუმცა, ამის შემდეგ, მივიღეთ ის, რომ თითქოს ოპოზიცია გაერთიანდა ერთი საკითხის ირგვლივ და წარმოჩინდა ისე, რომ ვიღაც არის აღნიშნულის წინააღმდეგი და უმრავლესობა არ აფასებს, ხოლო ოპოზიცია აფასებს გმირებს. ოპოზიციის მიერ გამართულ ბრიფინგზეც აღნიშნული საკითხის დაყენება მოხდა სხვადასხვაგვარად და ამასთანავე, ითქვა

ისიც, რომ „უკრაინელების მიმართ თუნდაც ცოტაოდენი მაინც გავაკეთოთ“, რაც მიუღებელია, რადგან, მართალია, ამაზე საუბარი უხერხულია, მაგრამ როდესაც უკრაინელების მიმართ მხადაჭერაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმე პერიოდში, საქართველო და კონკრეტულად თბილისი იყო ერთ-ერთი მთავარი ქალაქი, სხვა მეგობარ ქალაქებთან ერთად, რომელმაც ღირსეულად უმასპინძლა უკრაინელ დევნილებს და ძალიან ბევრი ქვეყნის მხრიდან არ ყოფილა ისეთი მხარდაჭერა, ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე, როგორც იყო საქართველოს მხრიდან. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ვერ გაიზიარებს ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან იმის წარმოჩინებას, თითქოს ჩვენს ქვეყანას და კონკრეტულად თბილისის მუნიციპალიტეტს რაღაც ნაბიჯი აქვს გადასადგმელი საკომპენსაციოდ, რადგან ძალიან ბევრი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ამ მხრივ და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქართველი გმირი გვყავს სხვადასხვა ომში დაღუპული და მიუხედავად იმისა, რომ 30 და 15 წელია ამ ომებიდან გასული, მათი სახელების უკვდავსაყოფად დღესაც ხდება თბილისის ქუჩებისთვის თუ სკვერებისთვის მათი სახელების მინიჭება“.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ საუბარი და მინიშნება იმაზე, რომ საკრებულო თუ ზოგადად, დღევანდელი ხელისუფლება უკრაინაში გარდაცვლილ მეზრძოლებს არ მიაგებს შესაბამის პატივს და მათი სახელების უკვდავსაყოფად არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს, არასწორი შეფასებაა, რადგან აბსოლუტურად საპირისპიროზე მეტყველებს თუნდაც მხოლოდ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შედეგები და გადაწყვეტილებები. კერძოდ, საკრებულოს ბოლო წლების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თბილისში არის აფხაზეთის ომში დაღუპული 76 გმირის სახელობის ობიექტი, ცოტა ხნის წინ, თბილისის ქუჩებს მიენიჭა 9 აპრილს დაღუპული ყველა გმირის სახელი, მუდმივად ხორციელდება თბილისის ქუჩებისთვის იუნკერთა სახელების მინიჭება, დღემდე მიმდინარეობს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფა და მხოლოდ წელს 15 გმირის სახელობის ქუჩა შეემატა თბილისს. ეს, რა თქმა უნდა, დროში თანმიმდევრულად განგრძობადი პროცესია და ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ ქართველ გმირებზე და მათი სახელების უკვდავყოფაზე, პასუხი არის ხსენებული შედეგები. ხოლო თუ საუბრია უკრაინელ მეომრებზე და ქართველი და უკრაინელი გმირების ერთობლივი სახელის მინიჭებაზე, ამაზე პასუხი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ იქნა განმარტებული, რაც აბსოლუტურად სწორი, ლოგიკური და გასაგებია. ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის ამ განცხადებას, ძირითადად, თან სდევს პათოსი, რომ „სიმბოლურად ეს მაინც გავაკეთოთ უკრაინისთვის და უკრაინელებისთვის“, თითქოს სხვა არაფერი გაკეთებულა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად და აღნიშნა, რომ სამწუხაროა, როდესაც ოპოზიცია ასე წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მაშინ, როდესაც თვითონ უკრაინელები გამოხატავენ მაღლიერებას ყველაფერ იმაზე, რაც, როგორც ადგილობრივ, ასევე, ეროვნულ დონეზე განხორციელდა დედაქალაქის მთავრობის და ქვეყნის ხელისუფლების მიერ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ეს ნარატივი და ბრალდება არცერთი მიმართულებით არ არის რეალობასთან შესაბამისობაში, არის უსამართლო და პოპულისტური, როგორც ეს ხდება ხოლმე ხშირ შემთხვევაში.

მამუკა გუგუშაშვილმა განაცხადა, რომ საინტერესოა ორი რამ: ამ ეტაპზე რა გაკეთდა რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული ქართველი გმირების და მათი ოჯახების სასიკეთოდ და რამდენი ხანი უნდა დაველოდოთ უკრაინის ელჩის დანიშვნას, რასაც, მისი თქმით, არავითარი კავშირი არ აქვს ოპოზიციის თხოვნასთან, რომ თბილისში მოეწყოს ქართველი გმირების სკვერი და მემორიალი. აქვე აღნიშნა, რომ არავის არასდროს უთქვამს, რომ ქართულ მხარეს უკრაინის მხარდასაჭერად და დასახმარებლად არაფერი გაუკეთებია.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები არის სხვადასხვაგვარი და შესაბამისად, საკრებულოს უმრავლესობას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნას კომლექსურად. მისი თქმით, გიორგი ოსიანის საუბრობს ქართველ მეზრძოლებზე, თუმცა, სხვა ოპოზიციონერი კოლეგები ასე არ ფიქრობენ, რაც ასახულია მათ წერილებში და ბრიფინგებზე. უპასუხა მამუკა

გუგეშაშვილის მიერ დასმულ შეკითხვას, თუ რა გაკეთდა რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული ქართველი მებრძოლების სასიკეთოდ და განაცხადა, რომ თუ საუბარია მათი სახელობის მემორიალზე და სკვერზე, არცერთი არ გაკეთებულა და მიუხედავად იმისა, რომ საუბარია არა პიროვნებებზე და ინდივიდებზე, არამედ ზოგადად, ომში დაღუპულ გმირებზე, სამწუხაროდ, ომი ჯერ კიდევ გრძელდება. ამასთანავე, არის სხვადასხვა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ სკვერი და მემორიალი უნდა იყოს ქართველი გმირების თუ ქართველი და უკრაინელი გმირების სახელობის და შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ „როდესაც მოხდება კახა კალაძის, როგორც მერის მემკვიდრეობის შეფასება, მე ვფიქრობ, რომ ტვერელის ეკლესიასთან რაც ხდება, იქნება ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი ამ მემკვიდრეობაში“. მისი თქმით, ტვერელის ეკლესიასთან მიმდინარე მშენებლობა არის სამარცხვინო და დანაშაულებრივი მოცემულობა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელმაც, ფაქტობრივად, გააუფასურა ის, რისთვისაც მთაწმინდის ფერდი და ეს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა არის მნიშვნელოვანი. აღნიშნული მშენებლობის დაწყებისას, კახა კალაძის დაპირება იყო, რომ ეს იქნებოდა 2-3 სართულიანი ტერასული ტიპის სახლები, არავითარი კორპუსი იქ არ აშენდებოდა, ადგილი არ ექნებოდა სამშენებლო კოეფიციენტის მატებას და მშენებლობა წარიმართებოდა კანონის სრული დაცვით, თუმცა, „კანონის სრული დაცვით“ მივიღეთ ის, რომ ეკლესია დაფარა კორპუსმა. მისი თქმით, ეს არ არის შემთხვევითობა, რადგან ამ მშენებლობას ახორციელებს „მკ დეველოპმენტი“, რომლის ერთ-ერთი მესაკუთრე არის მიხეილ კუჭავა, რომლის მიერ აშენებულ კორპუსებში უძრავ ქონებას ფლობენ თბილისის მერის მოადგილის ირაკლი ბენდელიანის ოჯახის წევრები. საბა ბუაძემ ისაუბრა იმ უძრავ ქონებაზე, რომელსაც ფლობენ ირაკლი ბენდელიანის ახლო ნათესავები და დაინტერესდა „ეს შემთხვევითობა არის? 300 დოლარად შესაძლებელი არის ვაკეში თეთრი კარკასის შექმნა? არის თუ არა ეს კორუფცია? აღძრავს თუ არა ეს ეჭვებს თქვენში და ნებისმიერ ადამიანში, რომელიც ამ ყველაფერს უყურებს?“ მისი თქმით, ეს არის ძალიან ნათელი გამოვლინება იმ „აღვირახსნილი“ კორუფციული მმართველობის, რომელიც მიმდინარეობს მერიაში და ამ ყველაფერს თუ არ მფარველობს თბილისის მერი, მაშინ თავად გვითხრას, 250 კვ.მ. თეთრი კარკასი ვაკეში მერის მოადგილის ოჯახის წევრებმა და ახლო ნათესავებმა როგორ შეიძინეს „კაპიკებად“.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა საბა ბუაძეს, რომ როდესაც საუბრობს კონკრეტულ გვარებზე, იმაზე, რომ ეჭვია უძრავი ქონების იაფად შექმნაზე, აკეთებს დაშვებას, რომ რაღაც შეიძლება ასე იყოს და ამავდროულად, ფაქტობრივად, ბრალს სდებდეს კონკრეტულ ადამიანს, არ შეიძლება, რადგან ეს არის უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა და როდესაც საკრებულოს სხდომის დარბაზიდან საკრებულოს წევრი კონკრეტულ გვარებს აჟღერებს, ეს უკვე, ფაქტობრივად, ბრალდებაა და არასწორია. აქედან გამომდინარე, მოუწოდა მას, რომ მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ესა თუ ის პროექტი, საკრებულოს სხდომის დარბაზის ტრიბუნლიდან თავი შეიკავოს გვარების ხსენებისგან.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ კარგად აცნობიერებს მის მიერ გაჟღერებული ფაქტების სიმძიმეს, რადგან ის, რაც მან თქვა, არ არის არანაირი ვარაუდი, ეს არის ფაქტები და მიუხედავად იმისა, რომ ყველა სიტყვას ფრთხილად ეკიდება, „დავარქვათ ამას პოლიტიკური ბრალდებები“ და თუ ისინი უსაფუძვლოა, მაშინ მერის მოადგილე მობრძანდეს საკრებულოში და გასცეს პასუხი ამ პოლიტიკურ ბრალდებებს. თუმცა, მისი თქმით, შეუძლებელია ამაზე არსებობდეს პასუხი, რადგან თბილისის მერიც კი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ მშენებლობა იქნება 2-3 სართულიანი.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს, ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის სამსახურებთან ექნება შეხვედრა, სადაც იმსჯელებენ და ისაუბრებენ, თუ რა პროცესი გაიარა პროექტმა, რა სამშენებლო კოეფიციენტი და დაირღვა თუ არა კანონი.

საბა ბუაძემ დაადასტურა გიორგი ტყემალაძის სიტყვები და აღნიშნა, რომ საკრებულოს თავჯდომარის და ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავჯდომარის შემოთავაზება იყო, რომ განვიხილოთ ეს პროექტი. თუმცა, მის მიერ გაჟღერებული მძიმე ფაქტების უკან შეუძლებელია არ დაინახო ძალიან ცხადი გარიგების ნიშნები და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მერის მოადგილე მოვიდეს საკრებულოში და პასუხი გასცეს კითხვებზე, მათ შორის, ამ მშენებლობასთან დაკავშირებით და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოახერხეს მისმა ოჯახის წევრებმა და ახლო ნათესავებმა ასეულობით ათასი დოლარის ღირებულების ქონების შეძენა „ბუკვალურად კაპიკებში“.

ვლადიმერ ბოჭაძემ მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „რამდენჯერმე გთხოვეთ, რჩევად ნუ მიიღებთ, რომ სიტყვები: ძალადობა, პატიმარი, ციხე, ბიზნესის რეკეტი ლექსიკონიდან ამოიღოთ, მაგრამ არ გჯერათ და არ გესმით. როცა ძალადობაზე ვსაუბრობთ, მით უმეტეს, ქალთა მიმართ ძალადობაზე, სანამ მსხვერპლს დაყოფთ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ და დანარჩენი საქართველოს მსხვერპლებად, სანამ ქალზე მოძალადეებს თქვენი პოლიტსაზღვოს წევრებად და დანარჩენ მოძალადეებად მთელ საქართველოში, მანამდე, თქვენი ძალადობის წინააღმდეგ ნებისმიერი სიტყვა და საქციელი იქნება ნულის ტოლფასი“. ვლადიმერ ბოჭაძე გამოეხმაურა იმ განცხადებას, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ რაღაც მაინც უნდა გააკეთოს უკრაინის დასახმარებლად და განაცხადა, რომ ძალიან კარგად იცის მთელმა მსოფლიომ, რა აქვს საქართველოს გაკეთებული უკრაინის მხადასაჭერად და როდესაც საუბარია „ძლიერი პუტინის რუსეთზე“, ის სანქცია, რომელიც მასზე გასცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ და რომელსაც 123 ქვეყნიდან მხოლოდ 38-მა, მათ შორის, ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსის მქონე მოლდოვამ, მხარი არ დაუჭირა, საქართველოს ინიცირებით მოხდა. ამასთანავე, საქართველოს და მის მოქალაქეებს ძალიან ბევრი რამ აქვს გაკეთებული უკრაინის მხარდასაჭერად, რაც ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქე მებრძოლებისთვის, რომლებიც იბრძვიან რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. მისი თქმით, ოპოზიციას, ახლა უნდა, რომ სახელდების საკითხი უკრაინელი და ქართველი კი არა, მხოლოდ ქართველი გმირების დონეზე დაიყვანოს და საუბრობენ იმაზე, თუ რამდენი ხანი უნდა დაველოდოთ ელჩის დანიშვნას და მიმართა მათ: „იმდენი ხანი დაველოდებით, რამდენ ხანსაც ინებებს უკრაინის სახელმწიფო ელჩის დანიშვნას, მასთან ერთად განვიხილავთ ამ საკითხს“. აქვე განაცხადა, რომ არცერთ სახელმწიფოს, რომლის მოხალისეებიც იბრძვიან რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ, არ გაუკეთებია იმდენი საკუთარი მებრძოლების მშობლიურ მიწაზე გადასასვენებლად, რაც გააკეთა საქართველომ, არცერთი გარდაცვლილი არ დაუკრძალავს სამხედრო პატივით. არ აპირებს იმაზე საუბარს, თუ რომელი მუნიციპალიტეტი როგორ დაეხმარა თითოეული გარდაცვლილი ქართველის ოჯახს და სირცხვილია საკუთარი ქვეყანა დაადანაშაულო იმაში, თითქოს არაფერი გაუკეთებია უკრაინის მხარდასაჭერად. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თბილისში და არა მხოლოდ თბილისში, სხვა მუნიციპალიტეტებშიც აუცილებლად გაიხსება რუსეთ-უკრაინის ომის გმირების სკვერიც და გაკეთდება ქუჩაც, მაგრამ ეს იქნება უკრაინელი და ქართველი გმირების სახელობის და ეს ვერ იქნება ცალკე.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაასანქცირა ქართველი მოსამართლეები და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „მოგიწოდებთ, როგორც „ქართული ოცნების“ თბილისის ლიდერებს, რომ თქვენი წვლილი შეიტანოთ იმაში, რომ ეს მოსამართლეები აღარ იყვნენ ქართულ მართლმსაჯულებაში და რატომ? იმიტომ, რომ როდესაც შეიცვლება ხელისუფლება და ეს აუცილებლად მოხდება, იგივე მოსამართლეებმა არ გაასამართლონ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ ის კორუმპირებული მაღალჩინოსნები, რომლებიც საკმაოდ მრავლად გყავთ. იმიტომ, რომ ეს ადამიანები ნებისმიერი ხელისუფლების ნებისმიერ დაკვეთას შეასრულებენ“. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ მმართველ გუნდს ძალიან ეშინია აქციების და ამიტომ, ცდილობს მაქსიმალურად შეზღუდოს სააქციო სივრცეები, რისი ნათელი მაგალითიც არის ის, რომ

რამდენიმე დღის წინ კანცელარიის მიმდებარედ, აბსოლუტურად უკანონოდ დაიწყო ღობის მონტაჟი და ე.წ. სკვერის მოწყობა მხოლოდ იმიტომ, რომ აქციები აღარ გამართოს და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „მოდით, პოლიტიკა ცოტა ხნით გვერდით გადავდეთ. მთავრობის კანცელარიის ქვეშ, სადაც უნდა მოეწყოს სკვერი, არის სპორტული კომპლექსი და აქ არანაირ პირველ კლასზე საუბარი არ შეიძლება რომ იყოს, რადგან ეს არის ფაქტობრივად შენობის რეკონსტრუქცია და რამდენიმეტონიან ნაგებობებს და ნერგებს რომ გააკეთებთ იქ, კაცმა არ იცის, რა მოხდება და რა საფრთხეს შეუქმნის იქ მოქალაქეებს.“ ირაკლი ნადირაძემ ასევე, ისაუბრა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე და განაცხადა, რომ კვლავ გრძელდება თბილისის ბიუჯეტის და თბილისელების თანხების ფლანგვა, რაშიც იგულისხმება ის, რომ რამდენიმე დღის წინ „თბილისერვის ჯგუფმა“ გამოაცხადა ტენდერი და თუ აქამდე თბილისში გქონდა 30000 ლარიანი ნაგვის ურნები, ეხლა ვყიდულობთ 200 ნაგვის ურნას და თითოეულში უნდა გადავიხადოთ 50000 ლარი. მისი თქმით, „ამ გაჭირვებულ, გაუბედურებულ ქალაქში“, სადაც უამრავი სოციალური, ინფრასტრუქტურული პრობლემა და იმ დროს, როდესაც ქალაქის პერიფერიულ ნაწილში ნაგვის ურნები უმძიმეს მდგომარეობაშია, არაადეკვატურია, რომ 50000 ლარიანი ნაგვის ურნები დავდგათ ქალაქში და ყველამ ვიცით, რომ ეს ტენდერი უკვე მოგებული აქვს ისევ და ისევ ოდიშარიას ქვისლს. საუბრის ბოლოს, ისაუბრა საცობების კუთხით ქალაქში არსებულ მდგომარეობაზე, რასაც „კატასტროფა“ უწოდა და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „თქვენ დააორგანიზეთ, თუ შეიძლება, რომ საკრებულოში მოვიდნენ ტრანსპორტის მიმართულების სამსახურის ხელმძღვანელები და აუხსნან მოსახლეობას, რატომ ხდება ის, რომ დღითი დღე, საცობების განტვირთვის ნაცვლად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ნაცვლად, მიმდებარე დედაქალაქში ეს პრობლემა და წარმოუდგენელი ხდება, თუნდაც ამ მხრივ, ამ ქალაქში ცხოვრება.“

ნიკოლოზ კახეთელიძე გამოეხმაურა კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ თითქმის ყველა ხელისუფლების დროს იყო საუბარი იმაზე, რომ კანცელარიის შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია იყო არც თუ ისე კომფორტული იმისთვის, რომ განთავსებულიყო ოფისები და დროთა განმავლობაში, მათ შორის, წინა ხელისუფლების დროსაც, განხორციელდა კანცელარიის შენობის შიდა რეკონსტრუქციები და წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა სხვადასხვა იდეა, თუ როგორი პროექტი უნდა განხორციელებულიყო ამ ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ცნობილი არქიტექტორის თქმით, კანცელარიასთან არსებული მოედანი გაკეთებული იყო კომუნისტების დროს და აქ უნდა გამართულიყო ე.წ. „პლაცი“ დაცვის თანამშრომლებისთვის და ამავედროულად იყო იმისთვისაც, რომ სტუმრების მიღების დროს, იქ დამდგარიყო „საპატიო ყარაული“. იქიდან გამომდინარე, რომ ეს თემა ასე აღარ მუშაობს და მათ შორის, აღარ მუშაობს პროტოკოლი, პირადად მას, ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნია სკვერის მოწყობა, რადგან დღეს არსებულ მდგომარეობაში ამ ტერიტორიით ვერ ისარგებლებენ თბილისელები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოეწყობა პარკი, მიმდებარედ მაცხოვრებელ მოსახლეობას ექნება დასვენების საშუალება.

ცოტნე კობერიძემ გაიხსენა ზურაბ აბაშიძის სიტყვები: „ჩვენი მოქალაქეები იმედგაცრუებულები არიან, „ქართულმა ოცნებამ“, როგორც იდეას, პირველ რიგში, თვითონ უღალატა, დიდი რაოდენობით ადამიანებს გაუჩნდათ უნდობლობა პოლიტიკური პროცესის მიმართ. ამის მიზეზი ხელისუფლების უნიათობაა. ძალიან აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას - ეს ადამიანი არის ბიძინა ივანიშვილი“ და მიმართა მას: „ზურა, როგორ დაკარგეთ ესეთი ვასკვლავი ოპოზიციამ? რა მოხდა? რა შეიცვალა, რომ ესე აღარ ფიქრობთ და დღეს რომ მე ესეთ რამეებს ვსაუბრობ, პირველი თქვენ მაკრიტიკებთ ხოლმე. შემთხვევით ძალაუფლების გამო ხომ არ მოხდა ესეთი რამე? მერე, რომ მოხვალთ და თქვენი პროპაგანდისტები რომ ლაზარეს აკრიტიკებთ და „აშავებთ“ აქციაზე მყოფ ადამიანებს, თქვენ ეს ხალხი ამ ხალხში არ შეგეშალოთ. ეს ის ხალხი არ არის, რომელიც ფეხებზე დაიკიდებს იმას, რომ მეგობრებს დაუჭერენ პოლიტიკური

ნიშნით, რომელიც ფეხებზე დაიკიდებს იმას, რომ მის თანაპარტიელს სექსუალური ცხოვრების კადრებს გაუვრცელებენ, რომელიც ფეხებზე დაიკიდებს იმას, რომ დღეს ერთს იტყვის და ხვალ მეორეს, თუ თანამდებობას მისცემენ. ეს სხვა ხალხია. ეს ის ხალხი არ არის, რომელიც ერთი მხრივ, წაიკითხავს ტექტს ქალთა უფლებების დაცვაზე და მეორე მხრივ, მთელი კვირის განმავლობაში, მისი პარტია დაიცავს ქალზე მოძალადეს, „ამორალურობის პელეს“, შალვა რამიშვილს. ეს ის ხალხი არ არის, რომელიც ერთი მხრივ, იტყვის, რომ უკრაინის ძაან დიდი გულშემატკივარია და ყველაფერს აკეთებს და მეორე მხრივ, მისი პარტიის ლიდერები იქ მეზობლებს „კიკუებს“ და „ფულზე გაყიდულს“ დაუმახებს, მისი პრემიერმინისტრი ვერ გაზედავს, რომ კიევში ჩავიდეს და კიევის მერს საერთოდ „არარაობას“ უწოდებს. ეს ორსახოვნება, ეს ამორალურობა ამ ხალხს არ ახასიათებს. მესმის, რომ მთელი პროპაგანდა ეხლა იმიტოა, მათ შორის, „გირჩზე“ მომართული რომ სწორად შეგეშინდათ და ღარიბაშვილი „სატანისტებს“ და „ანარქისტებს“ გვეძახის. „სატანისტის“ რა გითხრათ, „ანარქისტი“ ვარ - „თავისუფალი ბაზრის ანარქისტი, ცოტნე კობერიძე.“ არ ვიცი, ანარქიზმის გაგება იცით თუ არა, მაგრამ, მათ შორის, მე ვიქნები ის ადამიანი, ვინც შეარყევს თქვენი ძალაუფლების შტოებს. რა დონემდე დახვედით, როგორ დევალვირდით, კარგად ჩანს „პოს ტვ“-ზე და „იმედზე“. ღმერთმა შეგარგოთ. თქვენი დრო არის დათვლილი, ამათ იმედზე რომ ხართ დარჩენილი. რა კარგი სახე-ხატი გყავთ შალვა რამიშვილი. აი, ამით შეხვალთ ისტორიაში“.

ნინო წულაძის თქმით, სასიამოვნოა, რომ თინათინ ნიბლოშვილმა ისაუბრა გენდერულ თანასწორობაზე და ქვეყანაში არსებულ ძალადობაზე, რადგან, სამწუხაროდ, წელიწადში მხოლოდ ერთხელ, 25 ნოემბრიდან 16 დღის განმავლობაში, ვისმენთ ხოლმე ქალზე ძალადობასთან დაკავშირებით დამგმობ განცხადებებს და მთელი წლის განმავლობაში შემოვიფარგლებით ფორმალური მოქმედებებით. ნინო წულაძემ საკრებულოს წევრებს გაახსენა 2023 წლის 20 მარტი, როდესაც ერთ-ერთმა გამზედავმა ქალმა, მაკო ჯაბუამ, საჯაროდ დაწერა და სავარაუდო სექსუალურ შევიწროებაში ამხილა შალვა რამიშვილი, რასაც „ჯაჭვური რეაქციით“ მოჰყვა შალვა რამიშვილის მხილება იგივე ქმედებაში რამდენიმე ქალის მხრიდან, მათ შორის, თათია სამხარაძის შემთხვევა, სადაც უკვე გვაქვს დამდგარი შედეგი, როდესაც 2018 წელს, მეორე ინსტანციის სასამართლომ სექსუალური შევიწროება აღიარა დისკრიმინაციის ფორმად და შალვა რამიშვილს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება, რის შემდეგაც, მეორე დღესვე, ქალბატონმა ნინო წილოსანმა განაცხადა, რომ „ყველა მოძალადე უნდა დაისაჯოს, მაგრამ კანონით და არა მორალური პოლიციის ხელით“. ნინო წულაძის თქმით, საინტერესოა, რომელი კანონით დასჯაზეა საუბარია მაშინ, როდესაც გაბატონებულია შერჩევითი სამართალი და ეს კანონი „პარტიული ფართი“ ეფარება სავარაუდო მოძალადეს შალვა რამიშვილს იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტია და ცენტრალური პროპაგანდული მედიასაშუალებით ლანძღავს ოპოზიციას, აჟღერებს ქვეყნის ანტიდასავლურ რიტორიკას და ხელისუფლებას მთელი ეს მედიაჯგუფი გამოყენებული ჰყავს პროსამთავრობო და ანტი დანარჩენი პოლიტიკური წარმომადგენლების ე.წ. „გასაშავებლად“. ნინო წულაძემ გაიხსენა მამუკა მდინარაძის სიტყვები, რომ „შვიდი წლის წინ რაღაც მოხდა, არ გახსენებია და ახლა გაახსენდა?“ და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „სავარაუდო მსხვერპლის კრიტიკა უაპელაციოდ და სავარაუდო მოძალადის მხადაჭერა ორმაგ სტანდარტს ხომ არ გახსენებთ? როგორ შეიძლება, ეს მსხვერპლი ქალები არ იყვნენ მართლები და იგონებდნენ? და როგორ შეიძლება, რომ ასე უაპელაციოდ, მთელი „ქართული ოცნების“ გუნდი ერთიანი ნარატივით და მესიჯბოქსით იცავდეთ შალვა რამიშვილს?“ ნინო წულაძე ასევე, გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილს, რომელმაც ისაუბრა ოპოზიციის მიერ გამართულ ბრიფინგზე და განაცხადა, რომ ამ ბრიფინგზე იდგა საკრებულოს ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი და რომ არა მათი მოწოდებები, თინათინ ნიბლოშვილი და „ქართული ოცნების“ გუნდი, რომლის გენდერული თანასწორობის საბჭოც პარტიული ნარატივით იმართება, ვერ ბედავდნენ ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას და როდესაც თინათინ ნიბლოშვილი ამბობს, რომ ასეთ დანაშაულებს მკაცრი რეაგირება მოჰყვება ხოლმე, საინტერესოა, რა რეაგირება მოჰყვა ამ საჯარო მხილებას სავარაუდო სექსუალური

შევიწროვების ფაქტებთან დაკავშირებით? საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის არაერთი შემთხვევა იყო მუნიციპალურ ტრანსპორტსა თუ სკვერებში, რაც იმის ნიშანია, რომ მუნიციპალური სიკეთეები ქალებისთვის არ არის უსაფრთხო და კარგი იქნება, გენდერული თანასწორობის საბჭომ და ზოგადად, საკრებულომ გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომ ქალებისთვის მუნიციპალიტეტი იყოს უსაფრთხო და თუ არ იქნება, სულ მცირე, გვერდით მაინც დავუდგეთ ქალებს და შეურაცხმყოფელი რიტორიკა არ გავატაროთ მათ წინააღმდეგ.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ საკრებულო არ არის ის ადგილი, სადაც საზოგადოებას უნდა ვაჩვენოთ რადიკალური პოლარიზება და კიდევ ერთხელ შევიდეთ მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში, რასაც ქვეყნის განვითარების ჩიხი ჰქვია. ფიქრობს, რომ საკრებულოს წევრებმა ძირითადი აქცენტები უნდა გააკეთონ მთავრობის საქმიანობაზე, რომლის შედეგი მკაფიოდ ნახა საზოგადოებამ თუნდაც გუშინდელ დღეს, როდესაც მოქალაქეებმა იხილეს სრულად პარალიზებული თბილისი და სამწუხაროდ, ეს არ იყო პირველი დღე და კიდევ უფრო მეტ სიღრმეებში შევალთ ქალაქის განვითარების იმ რეალობის გათვალისწინებით, რომლის წინაშეც ვდგავართ - დედაქალაქის ურბანული ქსოვილი ვერანაირად ვერ გაუძლებს განაშენიანების იმ ტემპს, რომლის მომსწრეებიც ვართ, როგორც თბილისის ისტორიულ ნაწილში, ასევე, შემოერთებულ ტერიტორიებზე. მისი თქმით, ეს არის მხოლოდ ხილული ნაწილი და კიდევ უფრო საგანგაშოა ის განაშენიანების რეგულირების გეგმები, რომლებიც უკვე დამტკიცებულია და ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი შემოდის საკრებულოში დასამტკიცებლად. საკრებულოს სხდომა არ ჩაივლის ისე, რომ ახალი პრევენციებით არ აღიჭურვოს სამშენებლო კომპანიები, სხვადასხვა მიზნობრიობით, ძირითადად კვ კოეფიციენტის მატებით, რაც ფაქტობრივად არის კვ კოეფიციენტის გაყიდვა და ამასთანავე, იზრდება კორუფციული გარიგებების შესაძლებლობა. ხოლო თუ ამას დავუმატებთ ქალაქის სუბურბანულ განვითარებას და გაუნაშენიანებელი ტერიტორიების „ველურ“ განაშენიანებას, მივიღებთ ურბანულ ქაოსს, სადაც, უახლოეს მომავალში, დედაქალაქის გააზრებული მობილობის ცნება მიუღწეველი იქნება. აქედან გამომდინარე, საჭიროა სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური გაერთიანებები აქტიურად ჩაერთონ საკრებულოში შემოსული საკითხების განხილვაში, რათა დროულად მოხდეს გარკვეული პრევენციების შემუშავება ურბანული კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. მისი თქმით, დღეს დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად, ხვალ წარმოგვექმნება წარმოდგენილი დანახარჯების ვალდებულება და რაც მთავარია, მათ გამოსასწორებლად წლები გახდება საჭირო და აქედან გამომდინარე, განაცხადა: „განემეორდები და უმრავლესობას კვლავ შევთავაზებ თანამშრომლობას ყოველი თბილისელის საკეთილდღეოდ და შესაბამისად, გარკვეული პასუხისმგებლობის გადანაწილებას ოპოზიციაზე, რასთან დაკავშირებითაც შესაბამისი დადგენილების პროექტები მაქვს შემოტანილი განსახილველად და მისაღებად. კიდევ და კიდევ, ვიტოვებ იმედს უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის თაობაზე, რითიც პირველი ნაბიჯი გადაიდგმება დეპოლარიზაციისკენ. ის სიტუაცია, რომელიც დარბაზში გვაქვს დღეს, კიდევ და კიდევ ვიმეორებ, არანაირ მორალურ უფლებას არ გვაძლევს ჩვენ, რაიმე ვთქვათ კონკრეტული იმ რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, რასაც ითვალისწინებს ევროკავშირში ინტეგრაცია. ვგონებ, უნდა გამოვნახოთ ის უნარი ჩვენს თავში, რომ შევძლოთ პირველი ნაბიჯი გადავდგათ ამ მიმართულებით“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა მთაწმინდის რაიონში, ტვერელის ეკლესიასთან მიმდინარე მშენებლობას და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს გუშინ, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე, ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გარკვეულ დისკომფორტს განიცდიან ამ მშენებლობასთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებმა საკმაოდ ღიად და მკაფიოდ დააფიქსირეს თავისი პოზიცია, რომ მზად არიან შეიკრიბონ, უფრო სიღრმისეულად იმსჯელონ ამ თემაზე და ისაუბრონ გამოსავალ გზებზე. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს,

დავინახეთ საპირისპირო, როდესაც საბა ბუაძემ წაიკითხა „საბრალდებო დასკვნა“ და მიმართა მას: „საკრებულოს წევრი ხარ, თუ პროკურორი ვერ გავიგე, სიმართლე გითხრათ. რა არის, რა ფორმაა ეს, რა ბრალდებებია? ძალიან გთხოვთ, თავი შევიკავოთ, შევიკრიბოთ და ვისაუბროთ“. ასევე, ისაუბრა კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობაზე და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რა არის იმაში ცუდი, თუ მოეწყობა მეტი რეკრეაციული და გამწვანებული სივრცე დედაქალაქში. ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის განცხადებას, რომ მმართველ გუნდს ეშინია აქციების და მიმართა მას: „ეხლა ვნახეთ აქციები და, მე მგონი, თქვენ თვითონ გაქვთ სერიოზული ჩავარდნა, ზოგადად ოპოზიციას, მთლიანად, ყველა მიმართულებით - ხალხის გამოყვანის, მობილიზების, მხარდაჭერის და ა.შ.“ საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის განცხადებას და მიმართა მას: „თქვენ თუ ესე ძალიან დაინტერესებული ხართ ჩემი ბიოგრაფიით და ჩემი გამონათქვამებით, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ყოველ სხდომაზე ყველა ჩემი გამონათქვამით გამოზრდნად და ისაუბროთ... მე ძალიან დიდი პოლიტიკური ბიოგრაფია მაქვს და ძალიან გამიხარდება, თუ შემახსენებთ ხოლმე რაღაცებს“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ტრანსპორტი, უსაფრთხოება და ნარჩენების გატანა არის ის საკითხები, სადაც არსებული პრობლემები საკრებულოს და მერიის მოსაგვარებელია და ისაუბრა ამ მიმართულებებით არსებულ ვითარებაზე. აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ზოგიერთ ხაზზე, დაიწყო გაჩერებების გამოცხადება, რაც ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია, იმედი გამოთქვა, რომ წლის ბოლომდე აღნიშნული განხორციელება ყველა ხაზზე და, უსინათლოების სახელით, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო ამ საკითხის მოგვარებაში. თუმცა, მეორე საკითხია, ზოგადად, რა მგდომარეობაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით და ალბათ ყველას სმენია გამოთქმა: „ნატოში უფრო ადვილად შეხვალ, ვიდრე თბილისში საქალაქო ტრანსპორტში“. ასევე, პრობლემას სამარშრუტო ტაქსებში მიწებზე გაკეთებული რეკლამები, რადგან ბევრ ადამიანს აქვს კლაუსტროფობიული მოვლენები ე.წ. კინეტოზი, ამასთანავე, შეიძლება ფეხზე იდგეს 5 ადამიანი, რა დროსაც სრულად ირღვევა უსაფრთხოების ნორმები და კარგი იქნება, თუ სატრანსპორტო კომპანია გაითვალისწინებს აღნიშნულს. მართალია, წელს გაკეთდება წერეთლის გამზირი, ხოლო მომავალ წელს - ვაჟა-ფშაველას გამზირი, მაგრამ მხოლოდ ეს არ აგვარებს ქალაქში არსებულ პრობლემებს, მათ შორის, ქალაქში წვიმა ფაქტობრივად „საქალაქო მასშტაბის კატასტროფის“ ტოლფასია, რადგან არ ჩანს საგზაო მონიშვნები, რაც პრობლემას უსაფრთხო გადაადგილების თვალსაზრისით. ვახტანგ სურგულაძემ ისაუბრა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნების შესყიდვაზე და განაცხადა „ათი მილიონი ორას ურნაში... შანზ-ელიზეზე თუ არ დგას ჭკვიანი ურნები, ამით არაფერი შავდება და ვაკეში რომ დავდგით, დიდად არაფერი შეიცვალა სისუფთავის მიმართულებით“. მისი თქმით, ძალიან კარგია და მოსწონს ახალი ტექნოლოგიები, მაგრამ საინტერესოა რამდენად გვაქვს ამის საშუალება? ხომ შეიძლება, რომ ეს ათი მილიონი მიმართული ყოფილიყო თუნდაც ცხოველების მონიტორინგის სააგენტოს მიმართულებით, სადაც საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსაგვარებელი. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ქალაქში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაა და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ჩვენ არ გვისმენენ. სამწუხაროდ, არც შეხვედრებზე მოდიან და არც წერილებზე გვცემენ პასუხს. თქვენ, უმრავლესობას, ამ ვითომ პატარ-პატარა საკითხების გადაჭრა რეალურად შეგიძლიათ“.

გიორგი შარაშიძემ ისაუბრა ტვერელის ეკლესიის მიმდებარე მიმდინარე მშენებლობაზე და აღნიშნა, რომ მხარს უჭერს საბა ბუაძეს, რომელმაც სამართლიანად და სწორად დააყენა საკითხი. მისი თქმით, აქ სხვა არის ამ საქმის მიმე კორუფციული ნაწილი და ეთანხმება გიორგი ტყემალაძეს, რომ ბევრად მეტი არგუმენტი და დასაბუთებაა საჭირო იმისთვის, რომ ვინმეს რამეში ბრალი დასდონ. მისი თქმით, სწორედ ამიტომ, წელიწადზე მეტია, ფრაქცია „თბილისის საქართველოსთვის“ ითხოვს ანტიკორუფციული კომისიის შექმნას და ხსენებული საკითხი არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რატომ უნდა არსებობდეს თბილისის საკრებულოში ანტიკორუფციული კომისია. განაცხადა, რომ თითქოს ყველამ

ყველაფერი იცის, რადგან ამ თემაზე ისეთი სერიოზული ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა ძალიან სანდო და ავტორიტეტული მედიის მიერ, რომ სიუჟეტის ნახვისას, ყველაფერი ცხადი ხდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, იცავს ეთიკას და არავის ხელს არ ადებს. მისი თქმით, კორუფციულ მხარესაც რომ თავი დავანებოთ, აქ სახეზე გვაქვს ისტორიული თბილისის დამახინჯების ძალიან მძიმე შემთხვევა და მიმართა საკრებულოს წევრებს: „მეგობრებო, ამაზე შევთანხმდეთ, ეს ხომ არ არის რაღაც მორიგი, შედარებით მეორეხარისხოვანი ამბავი, ტვერელის ეკლესიაზე ვსაუბრობთ, მთაწმინდაზე ვსაუბრობთ და ფაქტობრივად ვხედავთ შენობას, რომელიც პირდაპირ არის შეჭრილი ეკლესიის ტერიტორიაზე და პირდაპირ ჩანს თუ რასთან გვაქვს საქმე... ეს მშენებლობა ამ ფორმით არ უნდა გაგრძელდეს... რაიმე ფორმით გამოინახოს კანონიერი გზები და შეჩერდეს... დაუშვებელია, ვერ წარმომიდგენია, გარკვეული წლების განმავლობაში ვიყო საკრებულოს დეპუტატი და ხმა არ ამოვიღო ამ ძალიან სერიოზული დანაშაულის წინააღმდეგ“. გიორგი შარაშიძემ ასევე, ისაუბრა თბილისში არსებულ სატრანსპორტო კოლაფსზე, გამოეხმაურა ქალაქის მერის მოწოდებას თბილისელების მიმართ, რომ თურმე „ერთად უნდა გავიჭიროვოთ ყველამ“ და განაცხადა, რომ არცერთი თბილისელი არ აპირებს ამ გაჭირვების განაწილებას კახა კალაძესთან ერთად, რადგან თბილისში არ არის არანაირი სამართლიანი გარემო, რისი ერთ-ერთი მაგალითია ის, თუ რა რაოდენობის ავტომობილი გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოლში მაშინ, როდესაც თბილისელები საათობით დგანან საცობში და თბილისელები ხუმრობით „შკოდლაინსაც“ ეძახიან „ბასლაინს“, რადგან ყველამ ვიცით, რომ „შკოდა“ არის ის ბრენდი, რომელსაც დიდწილად იყენებენ სახელმწიფო ჩინოვნიკები. აქედან გამომდინარე, ფრაქციას აქვს ინიციატივა, რომ თუ კახა კალაძეს სურს, რომ თბილისში იყოს სამართლიანი გარემო, მართლაც გვერდში დაუდგნენ თბილისელები და მასთან ერთად გაინაწილონ პასუხისმგებლობაც და შედეგებიც, მოითმინონ ეს ურთულესი ვითარება და გაიჭიროვონ მასთან ერთად, მაშინ, პირველ რიგში, თავად აჩვენოს, როგორი უნდა იყოს სამართლიანი გარემო. მართალია, ეს არ არის მხოლოდ თბილისის მერის გადასაწყვეტი და აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობაც, მაგრამ მას აქვს სათანადო ავტორიტეტი და გავლენა დღევანდელ ხელისუფლებაზე და უნდა გამოინახოს რაიმე გზა იმისთვის, რომ სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის ავტომობილების გარდა, ფაქტობრივად, ყველასთვის შეზღუდული იყოს „ბასლაინში“ გადაადგილება, რადგან, გარდა უსამართლობის დიდი განცდისა, ეს არის უსაფრთხოების დიდი პრობლემა.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია, რომ ჯერ კიდევ არის უკმაყოფილება, რადგან ნებისმიერი რეფორმა თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მას მოსდევს გარკვეული უკმაყოფილება, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც თბილისში განხორციელებულა, მათ შორის, ეს ეხება ე.წ „ბასლაინების“ მოწყობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება მოხდეს შეუფერხებლად და იყოს კომფორტული, მაგრამ ამ იდეის დისკრედიტაციას ახდენს ის, რომ, სამწუხაროდ, მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გადაადგილდება ამ „ბასლაინებით“. მისთვის გასაგებია ისიც, რომ არსებობს სპეციალური სამსახურები, რომელთაც ოპერატიული საქმიანობისთვის სჭირდებათ სწრაფი გადაადგილება, თუმცა, ამ მიმართულებით საჭიროა გარკვეული რეგულაციების შემუშავება, რათა ამით არ სარგებლობდნენ უბრალოდ თანამდებობის პირები და მათი მძღოლები, რომლებიც, მისი და მოქალაქეების აზრით, ხშირ შემთხვევაში, არასაქმიანი და არაოპერატიული მიზნებით იყენებენ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილ სავალ ნაწილს. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტმა, ხელისუფლების იმ წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსაც ეხებათ აღნიშნული საკითხი, უნდა შეიმუშავოს გარკვეული მექანიზმები იმისთვის, რომ არ მოხდეს „ბასლაინების“ არამიზნობრივად გამოყენება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა და ძალიან მძიმე გადაწყვეტილებები, რომელიც თან ახლავს „ბასლაინების“ მოწყობას, არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ და არ განიცადოს დისკრედიტაცია იმიტომ, რომ თუნდაც სახელმწიფო მოხელემ თუ ჩინოვნიკმა, რომელსაც არ უნდა საცობში დგომა, ბოროტად ისარგებლოს ამ კუთხით და მიმართა

კოლეგებს, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის მოწესრიგებისთვის გადადგან ნაბიჯები. საუბრის ბოლოს, რევაზ სოხაძე გამოეხმაურა ძალადობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და განაცხადა: „მე ვგმობ, ნებისმიერი მხრიდან, ვინც გინდა იყოს ის და საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, ქალთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობას და ასევე, სოლიდარული ვარ და მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა იმ ქალს, ვინც ასეთი ძალადობის მსხვერპლი იყო“.

ნინო კვიციანიშვილმა მაღლობა გადაუხადა რევაზ სოხაძეს ძალადობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისთვის და აღნიშნა, რომ ნამდვილად აქვს მნიშვნელობა ასეთ მხარდამჭერ განცხადებებს. მისი თქმით, არაფერი უცნაური არ არის იმაში, რომ გენდერული საბჭოს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა გააკეთეს ბრიფინგი ერთი მარტივი გარემოებიდან გამომდინარე - მას შემდეგ, რაც ქალების მხრიდან გაცხადდა ინფორმაცია ძალადობრივი ფაქტის შესახებ, გენდერული საბჭოს მხრიდან მათი მხარდამჭერი განცხადება არ გაკეთებულა და პირიქით, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ვისმენდით საკუთარი საყრდენის, „პოს ტვ“-ის მთავარი პროპაგანდისტის, შალვა რამიშვილის დასაცავ განცხადებებს, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დადასტურებულად ვიცით, რომ აღიარებულია მოძალადედ. მისი თქმით, გენდერულ საბჭოს მინიმუმ ისეთი განცხადება მაინც უნდა გაეგრძელებინა, როგორც ახლა რევაზ სოხაძემ გააკეთა და საბჭოს სრულ შემადგენლობას უნდა მოეთხოვა ამ საქმეზე სამართლებრივი რეაგირება და გამომძიების დაწყება, რაც არ გაკეთებულა. ხოლო, ათი-თხუთმეტი დღის და ერთი წლის შემდეგ გაკეთებული განცხადებები ვერ არის იმ აქტუალობის და აღარ წარმოადგენს სოლიდარობის ისეთ სახეს, რომელიც მისაღებია მაშინ, როდესაც პირდაპირ პრაქტიკაში გვხვდება და საქმით შეგვიძლია ადამიანებს გვერდში დავუდგეთ. ნინო კვიციანიშვილმა ისაუბრა უკრაინაში დაღუპული ქართველი გმირების მიმართ ქალაქის დამოკიდებულებაზე და განაცხადა, რომ საჭირო არ არის იმაზე საუბარი, ბევრი გააკეთა თუ ცოტა ქვეყანამ ამ თვალსაზრისით, რადგან ქართველმა ხალხმა თავისი გასაკეთებელი გააკეთა და კიდევ გააკეთებს. ამასთანავე, ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ უწოდებდნენ უკრაინაში მეზრძოლ ქართველებს კრიმინალებს სწორედ პროპაგანდისტულ არხებზე და როგორ იმუქრებოდნენ მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევით და, სამწუხაროდ, ნამდვილად არ გვახსოვს ამის საწინააღმდეგო განცხადებები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან. ნინო კვიციანიშვილმა ასევე, ისაუბრა გიორგი ონიანის ინიციატივაზე, აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია პოზიცია, რომ ამ საკითხის განხილვა უმჯობესია მოხდეს უკრაინის ელჩის დანიშვნის შემდეგ, მაგრამ, ამავდროულად, სრულიად გაუგებარია, რომ ამ ინიციატივაზე საკრებულო საუბრობს 6 თვის დაგვიანებით. მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ შეთახმდნენ კონკრეტულ თარიღზე, როდესაც მოეწყობა შეხვედრა ამ თემით დაინტერესებული ყველა მხარის ჩართულობით და დაიწყებენ საქმიან საუბარს, რადგან ამ საკითხის ირგვლივ არა მარტო გაერთიანდა მთელი ოპოზიცია, რომელიც ვერ თანხმდება ხოლმე მთელ რიგ საკითხებზე, არამედ, ასევე, სამოქალაქო მოძრაობის მხრიდან ჩაერთო ძალიან ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ინტერესით ადევნებს თვალს ამ საკითხს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „თუ ჩვენ ქმედით რაიმე ნაბიჯებს არ დავგეგმავთ ან თარიღს არ ჩავნიშნავთ, მაშინ, მოგვიტევეთ და ჩვენ თბილისელები, ქართველი ხალხის შემწეობით, იქნება ეს ფონდის გზით თუ სხვა გზით, ნამდვილად მივაგებთ პატივს იმ გმირებს, რომლებიც უკრაინაში საქართველოსთვის იბმოდნენ და გმირულად დაიღუპნენ - არც მემორიალს დავაკლებთ, არც ლამაზ სკვერს და მათ შვილებს ნამდვილად შეეძლებათ შემდგომ ისეირნონ იმ სკვერში და თქვან, რომ ის არის მათი მამების სახელები“.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში, ნინო წულაძის მიმართ მმართველი გუნდი გამოირჩევა პოლიტიკურ გამოსვლებში ხელის შეშლის მცდელობით და ცდილობს მის ერთგვარ დისკრედიტაციას და განაცხადა, რომ „ისედაც თვეში ერთხელ ტარდება სხდომები, ისედაც სამი წუთი - მინიმალური დრო გვაქვს, რომ ჩვენი პოლიტიკური ხედვა იქნება, განცხადება იქნება, პროტესტი იქნება თუ ა.შ. დავაფიქსიროთ, მიუღებელია დისკრედიტაციის

მცდელობა, გაჩუმების მცდელობა, კომპლექსის გაჩენის მცდელობა. თქვენ ბევრნი ხართ, ჩვენ ცოტანი ვართ, მით უმეტეს, როდესაც ერთი პარტიის ერთი წარმომადგენელი არის შემოსული საკრებულოში. ამიტომ, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში მინდა გავიაზროთ და დარწმუნებული ვარ, გააზრებული გვაქვს, უბრალოთ მინდა პრაქტიკაში გადმოვიტანოთ, რომ თითოეული ჩვენგანის როლი არის ძალიან დიდი. ეს პასუხისმგებლობა უნდა გვესმოდეს“. ანა გოგოლაძე გამოეხმაურა სახელდებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, ოპოზიცია მიესალმება და მხარს უჭერს, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ თბილისის ქუჩებს მიენიჭოს 9 აპრილს, აფხაზეთის ომში, 2008 წლის ომში დაღუპული გმირების და იუნკერების სახელები, მაგრამ ჩნდება ერთი რიტორიკული კითხვა - „ვისი აგრესიის მსხვერპლია ეს ხალხი ანუ ვის რეპრესიებს შეეწირა? რუსეთის და ოფიციალური მოსკოვის და პარადოქსულია, რომ დღეს, დედაქალაქში გვექონდეს მოსკოვის გამზირი, რომელიც დიდი ხნის შესაცვლელია, წინა ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა“. მისი თქმით, ერთი წელია ეს ინიციატივა საკრებულოში არის დარეგისტრირებული, თუმცა არანაირი მსვლელობა არ მისცემია და პარადოქსულია ისიც, რომ მოსკოვის გამზირზე რომ ჩაივლით, მომიჯნავე ქუჩები არის ილია ბაბუციძის, ძმები ოცხელების, ჭიჭინაძის სახელობის, რომლებიც ომში დაღუპული ქართველი გმირები არიან და ერთ მხარეს მოსკოვის გამზირი და მეორე მხარეს მათი სახელობის ქუჩები, შეიძლება ითქვას, „ცოტა ცინიკურია“. მისი თქმით, შეიძლება საკრებულო არ განიხილავს ოპოზიციის შეთავაზებულ ვარიანტს, რადგან არ არის მისაღები, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის საზოგადოებრივი დაკვეთა და საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, ვალდებულია უპასუხოს საზოგადოებრივ დაკვეთებს, ამიტომ, ამ სიკეთხზე უნდა გაიხსნას მსჯელობა, დაიწყოს დისკუსია და დისკუსიის შედეგად გადაწყდეს, უნდა გადაერქვას თუ არა ამ ქუჩას სახელი.

ანა კაკაბაძე გამოეხმაურა სხდომაზე ოპოზიციის წარმომადგენლების: ცოტნე კობერიძის, ნინო წულაძის და ანა გოგოლაძის მიერ გაკეთებულ რამდენიმე განცხადებას და აღნიშნა, რომ როდესაც ვსაუბრობთ ქალთა მიმართ ძალადობაზე, მნიშვნელოვანია ის, რომ თუ სხვას ვადაწმინდავთ რაღაცაში, თვითონ არ გავიმეოროთ იგივე - როდესაც მთელი ჩვენი ტექსტი აგებულია სხვა ძლიერი ქალების მიმართ დამამცირებელ რიტორიკაზე, ამ დროს არ შეგვიძლია მოვირგოთ იმის ნიშა, რომ თითქოსდა ჩვენ ვიცავთ ქალების უფლებებს. მისი თქმით, ნინო წულაძე მიუთითებდა, რომ მმართველი გუნდის წევრები არ აცდიან საუბარს, თუმცა, ყველა მისი გამოსვლა აკომპანირებული იყო ნინო წულაძის რეპლიკებით. როდესაც საუბრობს ქალთა მიმართ ძალადობაზე, იმავე სიტყვაში ცდილობს, დააკნინოს ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ისაუბრონ საქართველოში ქალთა უფლებებზე და მათ გაძლიერებაზე, რასაც, სამწუხაროდ, ქალბატონი ნინო ვერ ხედავს და ამბობს, რომ ისინი აქტიურობენ მხოლოდ კონკრეტულ დღეს, რადგან მათ აქტივობებს თვალს არ ადევნებს ან არ უნდა, რომ დაინახოს. ანა კაკაბაძის თქმით, ეს არის ორმაგი სტანდარტი, როდესაც ნინო წულაძე ცდილობს, მოახდინოს მათი დისკრედიტაცია და იმის ნაცვლად, რომ მათ ხელი შეუწყოს და გააძლიეროს, ყველანაირად ცდილობს საზოგადოებაში დააკნინოს მათი სახელი და რეპუტაცია, რათა იმ ქალებს, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლები ან პოტენციური მსხვერპლები, მათთან მისასვლელი არ ჰქონდეთ. ანა კაკაბაძე ასევე, გამოეხმაურა ანა გოგოლაძის სიტყვებს, რომ მმართველი გუნდი ცდილობს ნინო წულაძის დისკრედიტაციას და განაცხადა, რომ არავინ ცდილობს მის დისკრედიტაციას და პირიქით, პირადად მას, არაერთხელ დაუფიქსირებია პატივისცემა ნინო წულაძის მიმართ, მაგრამ, ზემოთ ხსენებულ ფაქტებზე რეაგირების არგაკეთება, უხერხულია, რადგან თუ საკრებულოს ქალი დეპუტატების მიმართ ხდება რაიმე სახის ძალადობა და დისკრედიტაციის მცდელობა, ორივე მხარეს უნდა დავინახოთ და ორივე შემთხვევაში უნდა გვექონდეს თანაბარი რეაგირება. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა შალვა რამიშვილის ხსენებას ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ „ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არის დამნაშავე, იქნება ეს შალვა რამიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ლაზარე თუ ნებისმიერი ადამიანი, უნდა იყოს დასჯილი. ნებისმიერმა ადამიანმა სამართლის წინაშე უნდა აგოს პასუხი მას შემდეგ, რაც დაუდასტურდება ეს

დანაშაული“ და მიმართა კოლეგებს: „ძალიან გთხოვთ, წინასწარ ნუ ვისაუბრებთ ყველაფერზე, წინასწარ ნუ გადავწყვიტავთ ვინ ვინ არის“.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ თბილისში გაჩნდა ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ძალიან კარგი, კრეატიული აბრები, რომელთა შორის მისი ყურადღება ყველაზე მეტად მიიქცია აბრამ - „აქ შეიძლება ეცხოვრა ავტომრბოლელ ქალბატონს“ და აღნიშნა, რომ საქართველოში გვყავს ქალბატონი, ან იაშვილი, რომელიც ორგზის ჩემპიონია არა ქალბატონებს შორის, არამედ ეროვნულ ჩემპიონატში. შალვა ოგბაიძე ასევე, გამოეხმაურა თბილისში რომელიმე სკვერისთვის უკრაინაში დაღუპული ქართველი გმირების სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს და განაცხადა, რომ „აუცილებლად დამთავრდება ომი უკრაინაში, დამთავრდება სიმართლის და სინათლის, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებით, უკრაინის გამარჯვებით და ვისურვებ, რომ დღესვე დამთავრდეს“. თუმცა, ომი ულმობელი რამაა და ასევე, ულმობელი სტატისტიკა აქვს და სამწუხაროდ, მსხვერპლი ისევ გრძელდება და აქედან გამომდინარე, მისი აზრით, უმჯობესი იქნება სკვერი მოეწყოს ომის დასრულების შემდეგ. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ე.წ. „ბასლანებში“ ავტომობილების სიარულს და განაცხადა, რომ ეს საკითხი გადასახედია და უნდა მოექცეს გარკვეულ რეგულაციურ ჩარჩოში, რადგან აღნიშნული მოქალაქეებში აჩენს „მეორეხარისხოვანი“ ადამიანის შეგრძნებას და განცდას, რაც მიუღებელია თითოეული ჩვენგანისთვის.

გიორგი ონიანმა მიმართა შალვა ოგბაიძეს, რომ მის ინიციატივაში საუბარი არ არის სახელობით მემორიალზე და იმ 41 ქართველზე, რომელიც დღემდე დაიღუპა უკრაინაში, ეს იქნება ზოგადად, მემორიალი და ამიტომ არ ფიქრობს, რომ აქ რაიმე პრობლემა შეიძლება იყოს.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ ისეთი გრძნობა აქვს, რომ წელიწადნახევარია ერთი და იგივეზე საუბრობენ. მისი თქმით, საკრებულოს წევრებს, რომ უსმენს, ყველას უნდა ევროპა, დასავლეთი და დემოკრატია, თუმცა, დემოკრატიისთვის საჭიროა უფრო მეტი - დემოკრატიული მუშაობა და როდესაც საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან ხშირად ისმის ისეთი ბრალდებები, რომ ოპოზიცია არ არის კონსტრუქციული, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული მუშაობისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება თითოეული სუბიექტის მხრიდან ვინც ჩართულია ამ პროცესში, ყველას უნდა ჰქონდეს ნება, რომ, პირველ რიგში, აღიაროს კანონის უზენაესობა და ისე იმოქმედოს და მეორე, ჰქონდეს ნება, მოუსმინოს მეორე მხარეს. მაგრამ, სამწუხაროდ, საკრებულოში არც ერთი და არც მეორე თვალსაჩინო არ არის და ვხედავთ, რომ არსებობს ორმაგი სტანდარტები - ზოგიერთი მოქალაქე, გაურკვეველი მიზეზების გამო, ვერ ააშენებს ღობეს, რის პარალელურადაც ვხედავთ, რომ ერთ ღამეში, ნებართვის გარეშე, შენდება ღობე და არავინ იცის, მათ შორის არც მერიამ, ვის მიერ და რატომ შენდება. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკური ნება საჭიროა, როგორც მიკრო, ასევე, მაკრო დონეზე, თუმცა, ვხედავთ, რომ არაფერი ხდება იურიდიულ პრინციპებზე და სახელმწიფოს ისეთი შტოები ირევა ერთმანეთში, რომ კონსტიტუციაც კი ირღვევა და ამ ფონზე, გაუგებარია, როგორ უნდა იყოს საკრებულოში კონსტრუქციულობა და თანამშრომლობა კონკრეტულ თემებზე. განაცხადა, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდა ასეთ სამუშაო გარემოში, მაგრამ თუ უნდა იცოდეს, რომ ამის იქით არ არსებობს, არანაირი სამართლიანობა, გაუგებარია რისი მოლოდინი აქვს უმრავლესობას ოპოზიციის მხრიდან და თუ მმართველ გუნდს ნამდვილად უნდა ევროპა და დემოკრატია, თვითონ უნდა ცდილობდეს ამ პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებას, თუმცა, როგორც ჩანს, მათი მხრიდან ეს არის მხოლოდ სიტყვები.

ნინო რუხაძემ სოლიდარობა გამოუცხადა ძალადობის მსხვერპლ ყველა ქალბატონს და განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა თუ სექსუალური შევიწროვება იმდენად ამორალური ქმედებებია, რომ მისთვის ამ ქმედებების ჩამდენი პირები არა თუ კაცების, არამედ, ადამიანების კატეგორიაშიც არ წერიან. მისი აზრით, ეს ქმედებები არის იმდენად

მომე და ისეთ დაღს ასვავს ადამიანის მთელს ცხოვრებას, რომ ფიქრობს, აუცილებელია მსგავსი ბრალდებები დამკვიცხებული იყოს სათანადო სამართლებრივი პროცედურებით. ნინო რუხაძე გამოეხმაურა მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა, რომ ქუჩებისთვის სახელის გადარქმევა-არგადარქმევა არ არის ის ასპარეზი და ველი, სადაც ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რუსეთს. ალბათ ყველა მიაქცევდა ყურადღებას, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამ ომს მოიხსენიებენ „პუტინის ომად უკრაინის წინააღმდეგ“, რაც მისი აზრით, არის ძალიან შორსმჭვრეტელი, განათლებული, გონივრული და ევროპული პოლიტიკა და მიდგომა, რადგან დაუშვებელია ხალხის, ქვეყნების, ქალაქების დემონიზირება - ეს არ არის ის მიდგომა, რომელსაც ჩვენი ევროპელი პარტნიორები იზიარებენ და ეს არის აბსოლუტურად სწორი მიდგომა. მისი თქმით, ყველას უნდა ესმოდეს, რომ მოსკოვი არ არის პუტინის ქალაქი, ის ეკუთვნის რუს ხალხს და ამ ქალაქში ძალიან დიდი კვალი აქვთ დატოვებული ჩვენს საამაყო თანამემშლეებს და ფიქრობს, რომ „ერთი ხელის მოსმით“ ამ კვალის უფულებელყოფა და იგნორირება არის პოლიტიკური უმწიფრობა და პრიმიტიული მიდგომა, რაც არ არის ის მიდგომა, რომელიც ეკადრება ჩვენს ქვეყანას და ხალხს.

კახაბერ ლაბუჩიძე გამოეხმაურა ირაკლი ბენდელიანთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინფორმაციას და განაცხადა, რომ არ შეიძლება ყველაფერი იკადრო საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. მისი თქმით, ირაკლი ბენდელიანი 24 საათი ჩართულია ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტში და სადმე რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, დღის თუ ღამის ნებისმიერ დროს, მიდის ადგილზე ამ პრობლემის შესასწავლად. მისი თქმით, გულდასაწყვეტია ის, რომ საკრებულოს სხდომაზე გაკეთებული განცხადების გამო, შესაძლებელია თბილისის მოსახლეობის ნაწილმა დაიჯეროს, რომ თითქოს ამ ადამიანის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა იაფად შეიძინეს უძრავი ქონება და განაცხადა, რომ „ყველა თამაშს აქვს თავის წესი“, ასეთი იაფფასიანი მეთოდით არ შეიძლება ერთმანეთს ყველაფერი ვაკადროთ და მიუღებელია მიდგომა „მე ვიტყვი და იმან ამტკიცოს თავის სიმართლე“.

ლილე ლიპარტელიანი გამოეხმაურა თანამშრომლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „საკრებულოს მუშაობის მთავარი პრინციპი - წარმომადგენლობითი პროპორციულობა, თავისუფალი და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება, საჯაროობა და ანგარიშვალდებულება, თქვენი მხრიდან, ყველა ეტაპზე დარღვეულია, მათ შორის, მერის დაბარება იქნება, მერის მოადგილის დაბარება იქნება, საქალაქო სამსახურების უფროსების დაბარება იქნება თუ წერილობითი კითხვა-პასუხი იქნება... აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რას ითხოვთ და როგორ ითხოვთ მმართველი გუნდი ოპოზიციისგან“.

ნინო წულაძე გამოეხმაურა ტვერელის ეკლესიასთან მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ მუნიციპალური ლაბორატორიის წარმომადგენლის თქმით, იქ არსებული ერთი კედელი იმდენად დეფორმირებულია, რომ საჭიროებს ღრმა შინაარსის კვლევებს, რადგან უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მაღალი რისკია. აქედან გამომდინარე, როდესაც მუნიციპალური ლაბორატორია გამგობაში გადაგზავნის ამ ტერიტორიის კვლევის შედეგებს, რეკომენდაციების მყისიერი შესრულების პროცესში უნდა მოხდეს მოქალაქეებთან პირდაპირი კოორდინაცია და ამასთანავე, კარგი იქნება, მუნიციპალიტეტმა თავის თავზე აიღოს შესაბამისი კვლევითი ორგანიზაციების მიერ შესწავლის თუ შემდგომი გამაგრების პროცესი, რადგან, რეალურად, მიმდებარე ტერიტორიაზე დღეს მიმდინარე პროცესები დაიდრა ხსენებული მშენებლობის შემდეგ და საუბარია რამდენიმე ათობით მოქალაქეზე, რომლებსაც უწევთ მომეტებული საფრთხის პირობებში ცხოვრება. ნინო წულაძემ აქვე აღნიშნა, რომ საკრებულო ამ საკითხთან დაკავშირებით აპირებს შეხვედრის მოწყობას და იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხვედრაზე მიღებული იქნება არა მერის სამსახურების მოქმედებების შენიღბვის, არამედ მოქალაქეების ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ჩაკვეტაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტრაქტის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი მარგებაძე

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2022 წელს შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

8. „სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლისთვის გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჭიძე

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-6 კვარტლის კორპუსი N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.002.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუსი N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.006.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.105.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოვიძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.018.01.005) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ში არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.027.003) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეგისტვის“ (ს/ნ. 206077993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ, 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის“ (ს/ნ. 405252471) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8121 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.011) და 14183 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.009) „მორიგების

დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის N28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი N14-ში; ქალაქ თბილისში, ლისი, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.256; N72.16.23.786; N72.16.23.618; N72.16.23.559; N72.16.33.142; N72.16.23.617; N72.16.23.074; N72.16.23.078; N72.16.23.077) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.556; N81.02.19.717; N81.02.19.555; N81.02.13.765) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

23. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N39; N41; N43; N45 და N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.461; N72.16.23.462; N72.16.23.463; N72.16.23.464; N72.16.23.460) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ.14/026) (საკადასტრო კოდები: N01.19.25.014.032; N01.19.25.014.031) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში“ (ნაკვ.N68, N68ა, N68ბ, N68გ, N71, N72, N77, N83, N93); ბაგების სატყეო ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.333; N01.20.01.010.334; N01.20.01.010.069; N01.20.01.010.024; N01.20.01.010.119; N01.20.01.010.199; N01.20.01.010.201; N01.20.01.010.202; N01.20.01.010.222; N01.20.01.010.280; N01.14.09.023.002; N01.20.01.171.011-ის ნაწილი; N01.20.01.010.498-ის ნაწილი; N01.20.01.171.010-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 1/12) (ნაკვ.01/010) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.17.003.002-ის ნაწილი, N01.10.18.005.062-ის ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.38.266; N81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

28. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი N7ა-ში; ბოგდან ხმელნიცის ქუჩა N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.011; N01.17.11.027.144; N01.17.11.027.145; N01.17.11.027.143; N01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

29. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.115; N01.20.01.010.047; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.052; N01.20.01.010.096; N01.20.01.010.438; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.137; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.085; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.469; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.055) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N410 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

30. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.32.026; N81.02.32.114; N81.02.32.115; N81.02.32.051; N81.02.32.008; N81.02.32.022; N81.02.32.023; N81.02.32.024; N81.02.32.025; N81.02.32.027; N81.02.32.042; N81.02.32.045; N81.02.32.164) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-

დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, სამადლოს ქუჩა N16-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.18.901; N81.02.18.902; N81.02.18.107; N81.02.18.105; N01.81.02.183.003; N81.02.18.561) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

32. „ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N20დ; N18 (ნაკვ.28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.028.022; N01.17.12.028.021; N01.17.12.028.028; N01.17.12.028.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

33. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.003.204; N01.17.12.003.206) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

34. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „აა2“-ის (ს/ნ. 405141537) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, მოსაშვილის ქ. N26-ში (ს/კ. N01.14.11.022.002) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში გასატარებელი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდაჭერი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

35. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „ავტოგრაფი პეკინი“-ს (ს/ნ. 405172012) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, გამზირი გამსახურდია, ჩიხი II, N2, (ნაკვეთი N010/017), ქ.თბილისი, გამზირი გამსახურდია, ჩიხი II, N2, (ს/კ. N01.10.17.010.038) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

36. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/კ. 205584820) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ. N01.10.18.005.046) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

37. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „ლატისის“ (ს/ნ. 404556119) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, შატბერაშვილის ქ. N68-ის მიმდებარედ (ს/კ. 01.14.12.003.185) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში გასატარებელი დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

38. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და კერძო პირის ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ონიაშვილის ქ. N59 (N01.10.12.033.009) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში გასატარებელი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

39. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „საინჟინრო კომპანია პმკ-ს“ (ს/ნ. 405196764) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი N304-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.19.39.026.030) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

40. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „სპექტრის“ (ს/ნ. 204877838) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, შავიშვილის ქ. N3 (ს/კ. N01.14.04.029.039) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში გასატარებელი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

41. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და კერძო პირის გიორგი ქიშმარაიას (პ/ნ. 55001006092) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა N222 - (ს/კ. N01.10.06.001.177) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

42. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „ემ ფროფერთის“ (ს/ნ. 405570207) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, სოფ. გლდანი, „ავშნიანი“, ნაკვეთი 06/542 - (ს/კ. N01.11.17.023.039) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ჩაკვეტაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან მადლობა გადაუხადა გიორგი ჩაკვეტაძეს საკრებულოში გაწეული საქმიანობისთვის, რომელიც, მისი თქმით, იყო ძალიან ნაყოფიერი და საქართველოს პარლამენტში ისეთივე წარმატებული საქმიანობა უსურვა, როგორც მას ჰქონდა თბილისის საკრებულოში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ სივრცით დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის გაწერის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან, მშენებლობების უკვე კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ განახორციელონ შეჩერებული მშენებლობის გადამოწმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულებაა დადგინდეს წესი, რომელიც ითვალისწინებს კანონით განსაზღვრულ ზემოთ ხსენებულ მოთხოვნას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსმა გიორგი მარგებაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი მომსახურების ტარიფების ცვლილება, რაც შეთანხმებულია როგორც მუნიციპალიტეტებთან, ასევე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე მიღებული იქნა სეპარირებული ნარჩენების აუქციონის წესი, ხოლო დღეს წარმოდგენილია ამ უკანასკნელის თანმდევი საკითხი, რაც გულისხმობს დადგენილებაში ცვლილების განხორციელებას, რომლის თანახმადაც აუქციონიდან შემოსულ თანხას მიიღებს „თბილსერვის ჯგუფი“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია აუქციონის მომსახურების ტარიფების გაზრდა, რაც გამოწვეულია საჯარო რეესტრის მიერ მომსახურების საფასურის ზრდით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2022 წელს შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2022 წელს შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება არის 102.2%, ხოლო შემოსავლების მხრივ ფაქტობრივი შესრულება - 101.7%. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით ამ პერიოდში მთლიანად მობილიზებულია 113702000 ლარი, ხოლო გარდამავალი ნაშთი იყო 74779000 ლარი და მთლიანობაში 2022 ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განსაზღვრული იყო 1567982000

ლართ, საიდანაც საკასო შესრულება იყო 1463000000, რაც არის 93.3%. გაიოზ თალაკვაძემ დეტალურად ისაუბრა ხარჯვითი ნაწილის შესრულების პარამეტრებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 98%; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაციის მიმართულებით - 91%; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 90%; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 99%; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 99%; ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება - 99%; განათლება - 91%; კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა - 74%; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 98%; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 91%.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „სსიპ ქალაქ თბილისის N30 საჯარო სკოლისთვის გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-6 კვარტლის კორპუსი N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.002.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 91 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუსი N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.006.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 72 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1985 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 89 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

